

ოქმი № 3**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის**

2019 წელი, 11 აპრილი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ. ჩაგანავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ბ. თოიძე, ალ. ლლონტი, ვ. ბერიძე, მ. ზოიძე, გ. ჩავლეშვილი, ტ. აროშიძე, მ. გოგოტიშვილი, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩაგანავა**თანამომხს:** პ.ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცელი მოხსენება გააკეთა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა პ.ჭყონიამ. შემდეგ გაიმართა მსჯელობა, კომისიის წევრებმა აღნიშნეს- ანგარიში საკრებულოში წარმოდგენილი იქნა არსებული კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

